

„ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი (შემდეგში „წესი“) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებისა და პროფესიის სტანდარტების საფუძველზე. წესის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურებისა და პირობების განსაზღვრა.

მუხლი 2. საკვალიფიკაციო გამოცდა

სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ების კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა გამოცდის ჩაბარება. გამოცდის თემატიკა ეყრდნობა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და არ სცილდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. ამასთანავე, გამოცდის თემატიკა ეყრდნობა შესაბამის პროფესიის სტანდარტს/ებს ან/და შეფასების სტანდარტს/ებს ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს. თემატიკა მოიცავს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული და/ან თეორიული სწავლის შედეგის/ების მიღწევის დადასტურებას/დემონსტრირებას.

მუხლი 3. საკვალიფიკაციო კომისიის უფლებამოსილება

1. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ -ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, ათი დღით ადრე, არანაკლებ სამი წევრით განისაზღვრება საკვალიფიკაციო კომისიის (შემდეგში „კომისია“) შემადგენლობა, რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ:

- ა) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან/და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მასწავლებელი;
- ბ) პარტნიორი საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი ან/და შესაბამისი პროგრამის განხორციელებაში ჩართული ინსტრუქტორი/პირი;
- გ) შესაბამისი მიმართულების პროფესიული ასოციაციის ან/და დამსაქმებლის წარმომადგენელი/წარმამადგენლები;
- დ) საჭიროების შემთხვევაში, იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის დარგში კვალიფიკაციის მქონე წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს მსგავსი მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
- ე) საჭიროების შემთხვევაში, სხვა საჯარო ან კერძო დაწესებულების წარმომადგენელი.

2. კომისია გაწყვეტილების მიღების უნარიანია, თუ მას ესწრება საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა არანაკლებ 3/4-ისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა

უმრავლესობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტი ხმის უფლება ენიჭება კომისიის თავმჯდომარეს.

3. კომისია უფლებამოსილია:

- ა) განსაზღვროს საგამოცდო თარიღი და ადგილი;
 - ბ) კონკრეტული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიმუშაოს საგამოცდო საკითხები (მათ შორის განმეორებითი გამოცდის) ;
 - გ) მიიღოს გადაწყვეტილება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.
4. კომისია შესრულებული სამუშაოს შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს საკვალიფიკაციო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. საკვალიფიკაციო კომისიის წევრის განსხვავებული აზრი დაერთვება ოქმს, დანართის სახით.
5. კომისია ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის წინაშე

მუხლი 4. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მოსამზადებელი ეტაპი

- 4.1 სასწავლო უნივერსიტეტს უფლება აქვს გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ითანამშრომლოს საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადებლად.
- 4.2 კონკრეტული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საგამოცდო საკითხებს შეიმუშავებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია დანართი N1-ის შესაბამისად.
- 4.3 სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია მხარი დაუჭიროს საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებასა და ჩატარებას.
- 4.4 საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ პროფესიული სტუდენტის შეფასების ფორმა აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
- ა) დავალების შინაარსი;
 - ბ) დავალების შესრულების დრო და ადგილი;
 - გ) შეფასების კრიტერიუმები;
 - დ) გამოცდის ორგანიზებისათვის დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში).
- 4.6 საგამოცდო საკითხები ცნობილია მხოლოდ საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრებისათვის და აღნიშნული წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, გამოცდის საკითხების შემუშავებიდან გამოცდის დასრულებამდე.
- 4.7 შესაფასებელ პირს ათი კალენდარული დღით ადრე მიეწოდება ინფორმაცია გამოცდის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ, წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერი ფორმით.

მუხლი 5. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება

- 5.1. საკვალიფიკაციო გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს თეორიული, პრაქტიკული ან/და თეორიულ-პრაქტიკული გამოცდის სახით.
- 5.2 საკვალიფიკაციო გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ (საწარმოში/პრაქტიკის ობიექტზე).
- 5.3 საკვალიფიკაციო გამოცდის მსვლელობისას შესაძლებელია განხორციელდეს ფოტო გადაღება ან/და აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერა;
- 5.4 საკვალიფიკაციო გამოცდას ესწრებიან შესაბამისი ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრები.
- 5.5 საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამომცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი, რომელიც ვერ ცხადდება გამოცდაზე, მინიმუმ ერთი სამუშაო დღით ადრე, ატყობინებს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რის შემდეგაც გამოიცემა ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.
- 5.6 საჭიროების შემთხვევაში, გამოცდას ესწრებიან ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის ფოტო და/ან ვიდეო გადაღებას, ასევე, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ოქმის მომზადებას.
- 5.7 საკვალიფიკაციო გამოცდის მსვლელობისას დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრის განსხვავებული აზრი დაერთვება ოქმს, დანართის სახით.
- 5.8. სტუდენტს გამოცდის შედეგების შესახებ ეცნობება წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერად გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა.
- 5.9.. საკვალიფიკაციო გამოცდის მტკიცებულებაა პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი წერილობითი ნაწარმი/პროექტი/ ნებისმიერი სახის მატერიალურად შექმნილი პროდუქტი/ პროცესზე დაკვირვების შეფასებისა და ზეპირი გამოკითხვის ფურცელი. მტკიცებულებები ინახება შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 6 წლის განმავლობაში.

მუხლი 6. სააპელაციო კომისია

- 6.1. პროფესიული სტუდენტი თუ არ ეთანხმება საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს, უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს და გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამი სამუშაო დღის ვადაში.
- 6.2. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ -ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ სამი წევრით და შედგება სასწავლო უნივერსიტეტის იურისტის, დარგის სპეციალისტისა და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენელი ან დამსაქმებელისაგან. (საჩივრის მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში).

- 6.3. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოიკვილოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და შეისწავლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს მხარეები (საკვალიფიკაციო კომისიის წევრი /ები, მომჩივანი).
- 6.4. სააპელაციო კომისია, ხმათა უმრავლესობით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას კომისიის გადაწყვეტილების გაზიარების ან/და კომისიისთვის გადაწყვეტილების ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.
- 6.5. კომისია განმეორებით განიხილავს სააპელაციო კომისიის მიერ მისთვის დაბრუნებულ გადაწყვეტილებას და, სათანადო დასაბუთებით, ცვლის ან უცვლელად ტოვებს მის მიერ მიღებულ თავდაპირველ გადაწყვეტილებას, რისთვისაც კომისიას განესაზღვრება სამი სამუშაო დღე.

მუხლი 7. განმეორებითი გამოცდა

- 7.1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გაუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გამოცდის შედეგების გაცნობიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, განმეორებით გავიდეს გამოცდაზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.
- 7.2. განმეორებითი გამოცდის ჩაბარების უფლებით სარგებლობა პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთჯერადად.
- 7.3. განმეორებითი გამოცდისათვის იქმნება ახალი საგამოცდო საკითხები.
- 7.4. გამოცდის/განმეორებითი გამოცდის/ კომისიის/სააპელაციო კომისიის/სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/ შედეგის გასაჩივრების უფლების შესახებ სტუდენტს ეცნობება კომისიის მიერ გამოცდის დაწყებამდე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

დანართი #1- საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტის ფორმა

